

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 236-ე მუხლით ისჯება ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

სსკ-ის 236-ე მუხლის შინაარსის უკეთ გასაგებად საჭიროა პირველ რიგში განიმარტოს იმ საგნების არსი, რომლებზე ზემოქმედების გზითაც ხდება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ამის შემდგომ კი, განვიხილოთ უშუალოდ ის ქმედებები, რომლებშიც ვლინდება ამ მუხლში მითითებული დანაშაულები.

სსკ-ის 236-ე მუხლში მითითებულ დანაშაულთა საგნები:

- **ცეცხლსასროლი იარაღი**(მაგ.: ტყვიამფრქვევი, ავტომატი, პისტოლეტი და ა.შ.) არის ისეთი იარაღი, რომელშიც ჭურვი ბიძგს იღებს ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი, მაღალი წნევის ქვეშ მყოფი აირის მეშვეობით და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკური დაზიანებისა და განადგურებისათვის. ცეცხლსასროლ იარაღად არ უნდა ჩავთვალოთ ცივი იარაღი.
- **საბრძოლო მასალა** (ვაზნა, ხელყუმბარა, ნაღმი და სხვ.) არის ისეთი საგანი ან მოწყობილობა, რომელიც კონსტრუქციულად შესაბამისი იარაღიდან გასროლისთვისაა განკუთვნილი.
- **ფეთქებადი ნივთიერება** (ტროტილი, დინამიტი და სხვ.) არის ისეთ ნაერთი, რომელიც ზემოქმედების შედეგად ფეთქდება, რა დროსაც გამოიყოფა ენერგია, რომელი ენერგიის გამოყენებაც შესაძლებელია სხვადასხვა საგნის დასანგრევად.
- **ასაფეთქებელი მოწყობილობა** (დეტონატორი) წარმოადგენს ფეთქებადი ნივთიერებისა და სპეციალური მოწყობილობის კომბინაციას, რომელიც აფეთქების საწარმოებლადაა განკუთვნილი.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ნივთები დანაშაულის საგნად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ვარგისია გამოყენებისათვის და რომელთა ვარგისიანობა დადასტურებულია ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით.

რა ქმედება ისჯება

- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-** მასში იგულისხმება სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული საგნების ყიდვა, გაცვლა, ვალში ჩათვლა, საჩუქრის სახით მიღება, ნაპოვნის დაუფლება. სსკ-ის 236-ე მუხლის მიზნებისათვის დასახელებული საგნების მართლსაწინააღმდეგო შეძენა დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც პირს მიეცა თავისი ნებასურვილის მიხედვით მათი განკარგვის შესაძლებლობა.
- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვაში** იგულისხმება ის, რომ პიროვნება, რომელსაც არ აქვს იარაღის კანონიერი ფლობის უფლება, ასეთ იარაღს მიუჩენს ადგილსამყოფელს, ისე რომ შეუძლია იარაღი გამოიყენოს მაშინ, როდესაც დასჭირდება. შენახვა შეიძლება უმოქმედობითაც მოხდეს, მაგალითად პირს, რომელიც ფლობდა ცეცხლსასროლ იარაღს შენახვის უფლებით, გაუუქმდა ნებართვა ანდა მოქმედების ვადა გაუვიდა ასეთ ნებართვას, მაგრამ მან მაინც არ ჩააბარა აღნიშნული იარაღი. ამ შემთხვევაში იგი უმოქმედობით ჩადის დანაშაულს, კერძოდ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვას ახორციელებს.
- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში** იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც გადაადგილებისას ცეცხლსასროლი იარაღი თან დააქვს პირს რომელსაც არ აქვს უფლება თავისი ბინის ან მისი კუთვნილი სხვა კერძო მფლობელობის ფარგლებს გარეთ ყოფნისას თან იქონიოს აღნიშნული იარაღი. ასეთი დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს იმ პირის მიერ, რომელსაც საერთოდ არ აქვს უფლება ფლობდეს ცეცხლსასროლ იარაღს, აგრეთვე იმ პირის მიერაც, რომელიც ცეცხლსასროლ იარაღს ფლობს მხოლოდ შენახვის უფლებით.
- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვად** ჩაითვლება იარაღთან ერთად გადაადგილება მისი შენახვის მიზნით საქართველოს ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორე დასახლებულ პუნქტში, ისე რომ პირს საამისოდ არ გააჩნია სათანადო ნებართვა, აგრეთვე, ერთი და იგივე დასახლებული პუნქტის ფარგლებში მრავალი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალური ნებართვის გარეშე გადატანა ამა თუ იმ მიზნით ტრანსპორტის ან სხვა საშუალების გამოყენებით
- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დამზადებაში** იგულისხმება კერძო პირის მიერ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსგან ნებართვის მიღების გარეშე იარაღის შექმნა, რაც შეიძლება განხორციელებულ იქნეს სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით-ქარხნული წესით ანკუსტარულად

(მაგალითად, სანადირო იარაღისათვის ლულების გადახერხვით, ე.წ. „აბრეზი“), შესანიღბად სხვა რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთის (მაგალითად, ავტოკალმის) ფორმის გამოყენებით და ა.შ.

- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაგზავნა** ნიშნავს მისი ნებისმიერი საშუალებით გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთის გამგზავნისა ან ადრესატის დაუსწრებლად.
- **ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღებაში** მოიაზრება ისეთი ქმედება, როდესაც იარაღის გასხვისება ხდება ისეთი პირის მიერ, რომელსაც არ აქვს კანონიერი უფლება ასეთი ქმედება განახორციელოს. გასაღება შეიძლება მოხდეს როგორც გაყიდვით, ასევე ჩუქებით, სხვა ნივთში გაცვლით, მევალისათვის ვალის დაბრუნების სანაცვლოდ მიცემა და სხვ.

სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება პირი, თუკი იგი ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს ჩააბარებს ნებაყოფლობით და მის ქმედებაში არ აღინიშნება სხვა დანაშაულის ნიშნები, ხოლო ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ სხვა დანაშაულისათვის.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვისათვის სასჯელის ზომად გათვალისწინებულია, ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა, ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა იმავე ვადით.

კანონი ითვალისწინებს კიდევ უფრო მკაცრ სასჯელებს აღნიშნული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენისათვის.

სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით მითითებული საგნების მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის სასჯელად გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა, ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

რაც შეეხება დასახელებული საგნების მართლსაწინააღმდეგო დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას, ასეთი ქმედება, თანახმად სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილისა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ხოლო თუ ეს ქმედება ჩადენილია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ან არაერთგზის ანუ იმავე ქმედებისათვის ნასამართლობის მქონე პირის მიერ, მაშინ იგი

ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ათ წლამდე (სსკ-ის 236-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).